

სამეცნიერო შრომების კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ X

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი გამოსაცემად ამზადებს საერთაშორისო ინდექსის (ISSN) მქონე სამეცნიერო შრომების კრებულს „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ X.

კრებულის პროფილი აერთიანებს სახელოვნებო მეცნიერებებს: ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, მუსიკისმცოდნეობა, ქორეოლოგია, კულტურა, მედიახელოვნება, სახელოვნებო განათლება.

- ნაშრომების მიღების ბოლო ვადა: 2024 წლის 30 ივნისი.
- სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილება ნაშრომის მიღების თაობაზე ავტორს ეცნობება 2024 წლის 30 ივლისამდე
- *დოქტორანტების ნაშრომი მიიღება ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.*

მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომისადმი

სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულ ვერსიით **Microsoft Word**-ის ფორმატში (.doc გაფართოებით). ნაშრომის მოცულობა - არანაკლებ 5 და არაუმეტეს 12 გვერდისა, აბსტრაქტის, საკვანძო სიტყვების, ძირითადი ტექსტისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით. საილუსტრაციო მასალა არაუმეტეს 3 გვერდისა.

გამოყენებული შრიფტი:

სტატიის ქართული ტექსტისათვის - **Sylfaen**; შრიფტის ზომა - 11; სტრიქონთაშორისი ინტერვალი - 1. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი სტატიის ტექსტისათვის **Times New Roman**; შრიფტის ზომა - 11; სტრიქონთაშორისი ინტერვალი - 1; სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით: ოთხივე მხრიდან დატოვებული მინდორი 2,54 სმ.

სტატიის სტრუქტურა:

სტატია უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის **APA** ციტირების სტილით. ნაშრომი სტრუქტურირებული უნდა იყოს **IMRAD (Introduction, Methods, Results, Discussion)** ფორმატის მიხედვით.

- **სტატიის სათაური:** სტატიის სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე (შრიფტის ზომა 12, გამუქებული). იწერება შუაში. სათაური უნდა იყოს მოკლე, კონკრეტული (არა ზოგადი) და ასახავდეს სტატიის შინაარსს. სათაურის ზემოთ მარცხენა მხარეს უნდა მიეთითოს დარგი/ქვედარგი.
- **ავტორი/ავტორები:** სტატიის დასაწყისში (მარჯვენა მხარეს) ქართულ და ინგლისურ ენებზე მიეთითოს ავტორის/ავტორების სრული სახელი, გვარი, აკად. ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი, ელ.ფოსტა.
- **აბსტრაქტი (მოკლე შინაარსი):** ქართულ და ინგლისურ ენებზე 200-250 სიტყვა (დაახლ. ერთი გვერდი). აბსტრაქტი უნდა იყოს ინფორმაციული, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩინდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. აბსტრაქტი გამოყოფილია სტატიის ძირითადი ტექსტისაგან. მასში მითითებები თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

აბსტრაქტი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატზე ტექსტურ რედაქტორ Word-ში; გამოყენებული შრიფტი: ქართული ტექსტისათვის **Sylfaen**; ზომა - 11; ინგლისური ტექსტისათვის **Times New Roman**; ზომა - 11; სტრიქონთაშორისი ინტერვალი - 1;

➤ **საკვანძო სიტყვები/keywords:** სტატიას თან უნდა ახლდეს სწორად შერჩეული საკვანძო სიტყვები /ფრაზები (4-8). სიტყვები/ფრაზები ერთმანეთისგან გამოყოფილი უნდა იყოს წერტილ-მძიმით.

➤ **სტატიის შესავალი/Introduction:** გამოკვეთილი უნდა იყოს კვლევის საგანი, პრობლემის არსი, ავტორის/ავტორთა მიზნები, ჰიპოთეზა და მისი შემოწმების საშუალებები. (რეკომენდირებული არ არის დიდი რაოდენობა დამოწმებული ლიტერატურისა, რომელსაც კავშირი არა აქვს თემასთან);

➤ **მეთოდები/Methods:** მიეთითოს გამოყენებული მეთოდოლოგია და წყაროები.

➤ **შედეგები/Results:** შედეგები უნდა იყოს ნათელი და მოკლე. დაალაგეთ ეს პარაგრაფი ჰიპოთეზების/თეზისების მიხედვით. მონაცემების გასაზოგადებლად გამოიყენეთ გასაგები ილუსტრაციები (დიაგრამები, ცხრილები, სურათები და სხვ).

➤ **მსჯელობა/Discussion:** წარმოჩენილი უნდა იყოს ნაშრომის შედეგების მნიშვნელობა. ზოგჯერ მისაღებია მსჯელობისა და შედეგების ნაწილთა გაერთიანება. (თავი აარიდეთ ვრცელ ციტატებსა და გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვას).

➤ **დასკვნები/Conclusions:** ნაშრომის მთავარი დასკვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკე პარაგრაფად ან ქვეპარაგრაფის სახით შედეგებისა და მსჯელობის ნაწილში.

➤ **გამოყენებული ლიტერატურა:** დასახელებული ლიტერატურა და წყაროები ლაგდება ანბანთრიგზე.

➤ **მადლიერება:** სტატიის ბოლოს, ცალკე პარაგრაფში, შენიშვნებამდე, მადლიერება გამოხატეთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც დაგეხმარნენ კვლევისას. ეს პარაგრაფი არ მიუთითოთ სქოლიოს სახით სათაურთან ან სხვაგვარად.

➤ **სქოლიო:** შეეცადეთ, ხშირად არ გამოიყენოთ სქოლიო. თუ რაიმე მნიშვნელოვანია, ის ტექსტში ჩაწერეთ, სხვა შემთხვევაში გამორიცხეთ. სქოლიო უნდა დაინომროს არაბული ციფრებით თანმიმდევრულად ტექსტის დამუშავების პროგრამების საშუალებით.

➤ **ლიტერატურის დამოწმების წესი**

გამოსაქვეყნებელ სტატიებში ციტირება და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს APA სტილის მიხედვით. ავტორებმა უნდა გამოიყენონ Microsoft Word-ის ბიბლიოგრაფიის ხელსაწყო (REFERENCES), ან ბიბლიოგრაფიის მენეჯმენტის პროგრამები (მაგ. Mendeley, Zotero, RefMan, Endnote, JabRef).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები ლაგდება ანბანთრიგზე. არაქართულენოვანი ლიტერატურა და წყაროები, სადაც გამოყენებულია ლათინური შრიფტი (მაგ. ინგლისური, გერმანული), ეთითება ორიგინალ ენაზე. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები, სადაც არ არის გამოყენებული ლათინური შრიფტი (მაგ. ქართული, სომხური), წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ტრანსლიტირებული ფორმით, ისე - ორიგინალ ენაზე. ქართული ლიტერატურის და წყაროების ტრანსლიტირება უნდა

განხორციელდეს „რომანიზაციის ქართული ეროვნული სისტემის მოდელზე“

(იხ. www.google.com – ამ დასათაურებით). ტრანსლიტერაციის შრიფტი შეგიძლიათ

გააინსტალიროთ კომპიუტერში, ან ქართული ტექსტის ტრანსლიტირება
განახორციელოთ პროგრამულად (მაგ., <https://translit.net/ge/>; <http://ge.translit.cc/>).

➤ **ლიტერატურის მითითების სტილი:**

- სამეცნიერო პუბლიკაციაში მოტანილი ციტატა ძირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („“). ციტირების დასასრულს მრგვალ ფრჩხილებში უნდა დაისვას ინდექსი, სადაც მიეთითება ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი ორიგინალ ენაზე, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ ორწერტილი და შესაბამისი გვერდის ნომერი. მაგ.: (ბერიძე, 1963: 23)/(ქართული მატერიალური კულტურის .., 2013: 24-30)/ (, 1983: 20-21). **საარქივო დოკუმენტისათვის** – (ასსცსა, ფ. რ-980, ან. 1, ს. 1430, ფურც. 26); (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 30, ფურც. 2).

დამოწმების მითითებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი ფორმა:

წიგნი ერთი ავტორით –

Sioridze, m. (2011). *nark'vevebi batumis ist'oriidan*, tbilisi. gamomtsemloba „universal“

სიორიძე მ. (2011). ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი.

წიგნი ორი ან მეტი ავტორით –

mepisashvili, r. tumanishvili, d., (1989). *banas t'adzari*, tb.: gamomtsemloba „merani“

(მეფისაშვილი, რ. თუმანიშვილი, დ., (1989). *ბანას ტაძარი*. თბ.: გამომცემლობა „მერანი“)

სტატია ჟურნალიდან ან გაზეთიდან –

shaidze, ak'. (1962). *basili ezosmodzghvris ist'oriuli tkhzulebis erti sherqvnili adgilis*

gamartvisatvis. tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi. t'. 99. (შანიძე, აკ. (1962). ბასილი

ეზოსმოდღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის

გამართვისათვის. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. ტ. 99.)

საგაზეთო სტატია ავტორისა და სათაურის გარეშე –

gazet i „iveria“(1897). #2, t'pilisi (გაზეთი „ივერია“. (1897). #2, ტფილისი)

საენციკლოპედიო ან კრესტომათიული სტატია –

shoshiashvili, n. (1975). *abuserisdzeni*. *kse*. t'. 1, tb. (შოშიაშვილი, ნ. (1975). აბუსერისძენი. *ქსე*. ტ. 1,

თბ.)

წიგნი ავტორის გარეშე (რედაქტირებული ან შედგენილი) –

kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa. (1897). *shek'rebili*,

kronologiurad dats'qobili da akhsnili t. zhordaniას mier. ts'. 2.t'p.

(*ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*. (1897). შეკრებილი,

ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. 2, ტფ.)

სტატია ჟურნალიდან ან გაზეთიდან –

shaniidze, ak'. (1962). basili ezosmodzghvris ist'oriuli tkhzelebis erti sherqvnili adgilis gamartvisatvis. *tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi*. t'. 99.

(შანიძე, აკ. (1962). ბასილი ეზოსმოდღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. ტ. 99.)

საისტორიო წყარო –

basili ezosmodzghvari. (1959). tskhovreba mepet-mepisa tamarisi. *kartlis tskhovreba*. t'. II. t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tb.: gamomtsemloba „merani“.

(ბასილი ეზოსმოდღვარი. (1959). ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. *ქართლის ცხოვრება*. ტ. II.

ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.:

გამომცემლობა „მერანი“.)

zhamtaaghmts'ereli. (1987). *asts'lovani mat'iane*. t'ekst'i gamosatsemad moamzada revaz k'ik'nadzem. tb.:

gamomtsemloba „merani“. (ქამთააღმწერელი. (1987). *ასწლოვანი მატანე*. ტექსტი გამოსაცემად

მომზადდა რევაზ კიკნაძემ. თბ.: გამომცემლობა „მერანი“.)

ხელნაწერთა აღწერილობა –

A pondis aghts'eriloba. (1973). *kartul khelnats'erta aghts'eriloba, qopili saek'lesio muzeumis (A) k'olektsiis*. t'. II. el. met'revelis redaktsiit. tb.

(A ფონდის ფონდის აღწერილობა. (1973). *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა,*

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის. ტ. II. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ.).

ციფრული წიგნის დასამოწმებლად იხელმძღვანელებთ ნაბეჭდი წიგნის მითითებისთვის არსებული წესებით. სტანდარტული ელემენტების გარდა ბიბლიოგრაფიაში ინტერნეტში განთავსებული წიგნებისთვის მიუთითეთ URL მისამართი და წვდომის თარიღი.

გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL მისამართი არ არის საკმარისი; დაურთეთ მაქსიმალური ინფორმაცია გამოცემის შესახებ, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძებნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ URL მისამართი შეიცვლება. თუ გვერდის ნომრები არ არის აღნიშნული, ციტირებული მონაკვეთის ადგილმდებარეობა მიუთითეთ აღწერილობითად, მაგ. წამდღვარებული ქვესათაურით.

ა.: *სახელი გვარი, წელი, სათაური, გამოცემის ნომერი (გამოცემის ადგილი: გამომცემელი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, URL მისამართი (წვდომის თარიღი).*

Julian Samora and Patricia Vandel Simon. (2000). A History of the Mexican-American People, rev. ed. (East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University), **under “Civil War in Mexico,”**<http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

ბ.: *გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. URL მისამართი (წვდომის თარიღი).*

Samora Julian and Patricia Vandel Simon. (2000). A History of the Mexican-American People.Rev. ed. East Lansing, MI - Julian Samora Research Institute, Michigan State University..<http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას მიუთითეთ წიგნის ფორმატიც.

ა.: სახელი გვარი,წელი, სათაური (გამოცემის ადგილი: გამომცემელი,), წიგნის ფორმატი.
Thomas H. Davenport and John C. Beck. (2001). The Attention Economy: Understanding the New Currency of Business (Cambridge, MA - Harvard Business Scholl Press). **TK3 Reader e-book**.

ბ.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. წიგნის ფორმატი.
Hellman, Hal. (2004). Great Feuds in Technology - Ten of the Liveliest Disputes Ever. New York: John Wiley. **Rocket e-book**.

შესაძლებელია ინტერნეტ წყაროები შევიდეს ლიტერატურისა და წყაროების საერთო ჩამონათვალში ან გაკეთდეს ცალკე ჩამონათვალი (მაგალითად, ლიტერატურისა და წყაროთა ჩამონათვალის შემდეგ).

ილუსტრაციების წარმოდგენის ინსტრუქცია:

ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტში ჩასმული ან ცალკე ფაილის სახით. ილუსტრაციები უნდა წარმოადგინოთ შემდეგ ფორმატში:

EPS (ან PDF): დიაგრამები, ცხრილები და სქემები, ყველა გამოყენებული ფონტით;

TIFF (ან JPEG): ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათი, რუკები, გაფართოება მინიმუმ 300 dpi;

TIFF (ან JPEG): შავ-თეთრი გრაფიკული ნახატი, ავტოგრაფიული ჩანახატი, გაფართოება მინიმუმ 1000 dpi;

TIFF (ან JPEG): კომბინირებული (ფერადი და შავ-თეთრი) სურათი, გაფართოება მინიმუმ 500 dpi.

ტექსტში გამოყენებული ილუსტრაციები თანმიმდევრულად დანომრეთ. თითოეულ ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს წარწერა. წარწერები დაწერეთ ცალკე და არა ილუსტრაციაზე. წარწერა უნდა შეიცავდეს სათაურს და მოკლე აღწერას. გააკეთეთ მოკლე წარწერა, მაგრამ განმარტეთ ყველა გამოყენებული სიმბოლო და აბრევიატურა. თავი აარიდეთ ვერტიკალურ მწკრივებს;

ილუსტრაციებზე წარწერისათვის გამოიყენეთ შემდეგი შრიფტები: სტატიის ქართულ ვერსიისათვის **Sylfaen**, ინგლისური ვერსიისათვის **Times New Roman**.

კრებულის რედაქტორი: პროფესორი მაია ჭიჭილეიშვილი.

ტომის რედაქტორი: ასოც. პროფესორი სოფო თავაძე

გთხოვთ ნაშრომი მოგვაწოდოთ შემდეგ ელ. ფოსტაზე: sofotavadze@hotmail.com

საკონტაქტო პირი: სოფო თავაძე. ტელ: 593 63 30 87